გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-05-24 **4 სექტემბერი, 2024 წ**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე - თეა ძიმისტარაშვილი (მომხსენებელი)
მოსამართლეები - მირანდა ერემაძე
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - ადვოკატი გ---ი ქ------ა

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ ხუ----ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 13 მარტის №021/23 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2023 წლის 9 მარტს საჩივრით, ხოლო ამავე წლის 4 აპრილს დაზუსტებული საჩივრით მიმართა დ----- ქ-------მ და მოითხოვა თავისი ყოფილი ადვოკატის - გ-----ი ქ------ასთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

მომჩივანი მიიჩნევს, რომ ადვოკატი მასთან დავაში მყოფი ძმის - ვ-----ი ქ-------ს სასარგებლოდ განზრახ ქმნის მტკიცებულებებს და გასცემს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

საჩივრის თანახმად, დ----- ქ-------ს საკუთრებაშია თბილისში, ს--------ს მ-----ს

მიწისქვეშა გადასასვლელის ნაწილი, სადაც განთავსებულია გარე ვაჭრობის ობიექტები. აღნიშნული ტერიტორიის 20% - ს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს დე-----ი ქ-------ს ძმის - ვ—----ი ქ-------ს კომპანია შპს „რ---------“, ხოლო 80% - ს მესამე ძმის - რ----ნ ქ-------ს კომპანია შპს „კო-—--------ი“.

საჩივრის თანახმად, 2018 წელს დ----- ქ-------მ დაიქირავა ადვოკატი გ-----ი ქ—------ა ზემოთ ნახსენებ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებში მისი ინტერესების დაცვის მიზნით. გ-----ი ქ—------ამ შეთანხმება დადო დ----ი ქ-------ს ძმებთანაც - ვ—----ი და რ----ნ ქარდავებთან და აიღო მათი კომპანიებისთვის იურიდიული მომსახურეობის გაწევის ვალდებულება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ძმებს შორის წარმოიშვა დავა და მიმდინარე პროცესებში ადვოკატის ქმედებებმა გამოიწვია ეჭვები მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, დ----- ქა------მ და შპს „კო—--------ა“ 2022 წლის თებერვალში შეწყვიტეს გ-----ი ქ—------ასთან თანამშრომლობა, ხოლო ადვოკატმა საპასუხოდ დ----- ქ-------ს და რ----ნ ქ-------ს გაუმართლებლად მიაყენა შეურაცხყოფა, რაც საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატის მხრიდან მასთან არსებული მიმოწერით დასტურდება.

საჩივრის თანახმად, 2021 წელს ვ—----ი ქ-------ა და მის ძმებს შორის წარმოიშვა უთანხმოება. ვ—----ი ქ-------მ მოითხოვა დ---- ქ-------ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების 1/3-წილზე საჯარო რეესტრში მის სასარგებლოდ უფლების რეგისტრაცია, მიუთითა, რომ ძმებმა აღნიშნული ქონება ერთად შეიძინეს და მის ირგვლივ არსებული დავის გადაწყვეტისთვის ადვოკატის მომსახურეობის ხარჯები ერთად გასწიეს, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით, არ შეესაბამება სიმართლეს. საჩივრის თანახმად, თავდაპირველად ძმებს შორის უთანხმოების მოგვარების მიზნით მიმდინარეობდა მოლაპარაკება, ხოლო მას შემდეგ, რაც დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციები ერთმანეთს ვერ დაუახლოვდა, ვ—----ი ქ-------მ 2021 წლის დეკემბერში დე---- და რ----ნ ქარდავებისა და შპს „კ—--------ის“ წინააღმდეგ წამოიწყო სასამართლო დავა.

დე----ი ქ-------ს განმარტებით, გ-----ი ქ—------ა მონაწილეობდა წარმოშობილი დავის მოლაპარაკების გზით მოგვარებაში, რა დროსაც მან განახორციელა არაერთი იმგვარი ქმედება, რომელიც აშკარად ვ—----ი ქ-------ს მხარდაჭერას ისახავდა მიზნად, ხოლო მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულების შემდეგ, ადვოკატმა განზრახ შეუქმნა ვ—----ი ქ-------ს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც მას საკუთარი პოზიციის დასაბუთებაში დაეხმარებოდნენ, მაშინ, როდესაც ძმებს შორის წარმოშობილი დავა სწორედ იმ უძრავ ქონებაზე წილობრივი უფლების განსაზღვრას შეეხებოდა, რომელთან დაკავშირებულ დავებში გ-----ი ქ—------ა დ----- ქ-------ს წარმომადგენელი იყო და ადვოკატს მისი ინტერესებით უნდა ეხელმძღვანელა.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ძმებს შორის მორიგების პროცესში ადვოკატმა უძრავი ქონების წილზე შეადგინა ჩუქების ხელშეკრულების პროექტი, სადაც დ-----ი ქ-------ს სახელით ჩაწერა შემდეგი პირობა: „სრულად ვადასტურებ, რომ ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთები შევიძინე ჩემს ორ ძმასთან ერთად, კერძოდ, ვ—----ი ქ-------

სთან პ/ნ 65002008165 და რ----ნ ქ-------სთან (62001013760) ერთად. 1999 წლიდან მოცემული ობიექტი გახლავთ ჩემს სახელზე მხოლოდ იმის გამო, რომ გვაქვს სასამართლო დავები და ქონებებს გააჩნია აკრძალვები სასამართლოს მიერ.“ მომჩივანის განმარტებით, ადვოკატმა ხელშეკრულების პროექტში თავისი კლიენტის ინტერესის აშკარად საწინააღმდეგო, ხოლო დაპირისპირებული მხარის პოზიციის შესაბამისი პირობა განსაზღვრა, რაც მეტყველებდა მის მიკერძოებულობის ფაქტზე ვ-–---ი ქ-------ს მიმართ.

ამასთან, საჩივრის თანახმად, ვ-–---ი ქ-------მ დაზუსტებული სარჩელის მე-3 გარემოებას მტკიცებულების სახით დაურთო გ-----ი ქ–------ას მიერ ხელმოწერილი, თბილისის მერიაში შეტანილი, 2018 წლის პირველი ოქტომბრის წერილი - საინვესტიციო შეთავაზება, სადაც წერილის მიზნის გათვალისწინებით, უადგილოდ იყო მითითებული უძრავი ქონებების დ-----, რ----ნ და ვ-–---ი ქარდავების მიერ საერთო სახსრებით შეძენის ფაქტი. მომჩივანის განმარტებით, მათ მერიიდან გამოითხოვეს, დ-----ი ქ-------ს სახელით წარდგენილი ყველა განცხადება, მათ შორის 2018 წლის პირველი ოქტომბრით დათარიღებული წერილიც, რომელიც იდენტურია, ვ-–---ი ქ-------ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რეალურად მერიაში წარდგენილ წერილში, არსად არის ნახსენები უძრავი ქონებების ძმების მიერ ერთობლივად შესყიდვის ფაქტი. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის მოსაზრებით, შემდგომში სასამართლოში მისი გამოყენების მიზნით, „გაყალბებული“ მტკიცებულება ადვოკატმა განზრახ შეუქმნა ვ-–---ი ქ-------ს.

აღნიშნულის შემდეგ, 2023 წლის 28 თებერვალს ადვოკატმა გი-----ი ქი–------ამ დე----- ქა-------ს, თეა ქ-------ს (რ----ნ ქა-------ს შვილი) და ვ-–---ი ქ-------ს ელ. ფოსტით გაუგზავნა წერილი (მიმართვა). მომჩივანის წარმომადგენლის განმარტებით, წერილი მისი შინაარსიდან გამომდინარე, არ შეიძლება შეფასდეს სხვაგვარად, თუ არა არაპირდაპირი გზით სასამართლოსთვის ჩვენების მიცემა. მისივე განმარტებით, აღნიშნული წერილით ადვოკატმა მტკიცებულება შეუქმნა ვ-–---ი ქ-------ს და შეეცადა გვერდი აევლო ადვოკატის იმ ეთიკური ვალდებულებისთვის, რომლითაც შეზღუდულია - ჩვენება მისცეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ და გათქვას პროფესიული საიდუმლოება. საჩივრის ავტორის განმარტებით, ვ-–---ი ქ-------მ სასამართლოში მტკიცებულების სახით სწორედ გ-----ი ქ–------ს აღნიშნული წერილი წარადგინა 2023 წლის 2 მარტს.

მომჩივანის განმარტებით, ვ-–---ი ქ-------ს მიერ სარჩელის აღძვრის შემდეგ აშკარა გახდა, რომ ადვოკატი გ-----ი ქ–------ა ძმებს შორის სასამართლო დავაში მოქმედებდა „კულისებიდან“, ვინაიდან სარჩელში წარმოდგენილი იყო ისეთი დოკუმენტები, რომელზეც ვ-–---ი ქ-------ს გ-----ი ქ–------ასგან დამოუკიდებლად ვერ ექნებოდა წვდომა. ამასთან, ვ-–---ი ქ-------მ დ----- ქ-------ს „whatsapp“-ის საშუალებით 6 აპრილს გადაუგზავნა მის მიერ 4 აპრილს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში შეტანილი დაზუსტებული საჩივარი, რომელზეც წვდომა მხოლოდ მომჩივანსა და მოპასუხე ადვოკატს უნდა ჰქონოდა.

2023 წლის 23 მარტს ადვოკატმა გ-----ი ქ–------ამ ეთიკის კომისიაში წარადგინა წერილობითი ახსნა - განმარტება, ხოლო 2023 წლის 11 მაისს მონაწილეობა მიიღო

საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომაში.

ადვოკატის განმარტებით, საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. იგი ადასტურებს, რომ 2018 წლიდან საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება დადებული აქვს სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე დ----- ქ-------სა და ამ უძრავ ქონებაზე იჯარით მოსარგებლე ორ კომპანიასთან - შპს „რო---------“, რომელსაც ფლობს ვ-----ი ქ-------ს ოჯახი და შპს „კ---------თან“, რომლის ერთპიროვნული მეწილე რ-----ნ ქ-------ა.

გ-----ი ქ------ას განმარტებით, 2018 წელს მან თითოეულ სუბიექტთან ცალ-ცალკე დადო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება ერთი და იმავე პირობებით. თითოეული ხელშეკრულებით მას ევალებოდა სადავო ქონების ირგვლივ არსებული დავების მოგვარება და კომპანიებისთვის იურიდიული მომსახურების გაწევა, რისთვისაც ჰონორარის სახით ყოველთვიურად 1000 ლარისა და თითოეული მოგებული საქმიდან, დავის საგნის ღირებულების 10%-ის გადახდა მოითხოვა, ხოლო თავად ძმებს შორის არსებული შეთანხმებით, თითოეული ხელშეკრულებით დამოუკიდებლად განისაზღვრა მომსახურეობის თანხა, რომელიც თავის მხრივ ადვოკატისთვის გადასაცემი ჰონორარის 33,3%-ს შეადგენდა და თითოეული კლიენტი ცალ-ცალკე იხდიდა ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ჰონორარის ნაწილს.

გ-----ი ქ------ას განმარტებით, 2021 წელს ძმებს შორის წარმოიშვა უთანხმოება და ვ-----ი ქ-------მ მოითხოვა დ----- ქ-------ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების 1/3-წილზე საჯარო რეესტრში მის სასარგებლოდ უფლების ასახვა. ადვოკატის განცხადებით, თავდაპირველად ის მონაწილეობდა ძმებს შორის წარმოშობილი დავის მოგვარების გზით გადაწყვეტაში, რა დროსაც თანამშრომლობდა დ----- ქ-------ს მიერ საქმეში ჩართულ ადვოკატთან - დ---თ დ-----ან და ათანხმებდა მორიგების პირობებს. მისივე განმარტებით, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი - მასსა და დ---თ დ-----ეს შორის არსებული მიმოწერა სწორედ მორიგების პირობების შეთანხმების პროცესს ასახავს და მცდელობა - დაეახლოვებინა მოდავე მხარეთა ხედვები ერთმანეთს, არ შეიძლება პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად შეფასდეს. ამასთან, ადვოკატის განმარტებით, მას შემდეგ, რაც ძმებს შორის მორიგება ვერ შედგა, ის ჩამოშორდა დავას და არცერთ მათგანს, პირდაპირ თუ ირიბად აღარ დახმარებია.

ადვოკატის განმარტებით, ის ფაქტი, რომ ვ-----ი ქ-------ს სარჩელს ერთვოდა 01.10.2018 წ. მის მიერ ხელმოწერილი წერილი, სადაც ასახული იყო სადავო ქონების ძმების მიერ შესყიდვის ფაქტი, იმით აიხსნება, რომ თავდაპირველად აღნიშნული განცხადების თბილისის მერიაში შეტანა განიხილებოდა სამივე ძმის სახელით, რაც შეთანხმებული იყო სამივე ძმასთან და გამოხატავდა მათ ნებას. სწორედ ამ ეტაპზე მოამზადა მან წერილი, რომელიც ვ-----ი ქ-------მ საკუთარ სარჩელს თან დაურთო. წერილში ასახული იყო ინფორმაცია, თუ როგორ შეიძინა სამივე ძმამ სადავო ქონება და შეთანხმებული იყო სამივე ძმასთან, თუმცა საბოლოოდ განცხადების აღნიშნული სახით შეტანაზე რ----ნ ქ-------მ უარი განაცხადა და გადაწყდა განცხადება მერიაში მხოლოდ დ----- ქ-------ს სახელით

შეტანილიყო. წერილი დაკორექტირდა და მან უკვე ჩასწორებული ვერსია შეიტანა თბილისის მერიაში რ----ნ ქ-------ს სახელით.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას - ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე, გ-----ი ქ------ა ადასტურებდა, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი წერილი მან დაწერა, თუმცა ასევე განმარტავდა, რომ წერილში ის ნათლად და გარკვევით უთითებდა, რომ წერილი განკუთვნილი იყო მხოლოდ ადრესატებისთვის და მოდავე მხარეებს ეს ინფორმაცია არ უნდა გამოეყენებინათ და გაევრცელებინათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

ადვოკატის განმარტებით, მან სწორედ მოცემულ დისციპლინურ საქმეზე შეიტყო, რომ ზემოაღნიშნული წერილი ვ-----ი ქ-------მ მტკიცებულების სახით წარადგინა სასამართლოში, რაც მისთვის მოულოდნელი და მიუღებელია. ამასთან, ადვოკატი თვლის, რომ ამგვარ დოკუმენტს არ ექნება მტკიცებულებითი ძალა, რადგან მან ამავე წერილით ადრესატებს აუკრძალა მისი მსგავსი მიზნებით გამოყენება.

ადვოკატის განმარტებით, წერილი იმ მიზნით შეადგინა, რომ მის მიმართ აღარ გაჩენილიყო დამატებითი კითხვები, ვინაიდან, დავის წარმოშობის შემდეგ სამივე ძმა ინტენსიურად ცდილობდა მასთან დაკავშირებას და მასზე ზემოქმედებას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ დ----- და რ----ნ ქ-------ის ოჯახის წევრები, ისინი გამუდმებით ურეკავდნენ და ახდენდნენ მასზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. ადვოკატის განმარტებით, მან წერილით კლიენტების და მათი ოჯახის წევრებს სთხოვა, რომ მიმდინარე დავასთან დაკავშირებით აღარ დაკავშირებოდნენ. ადვოკატმა დამატებით განმარტა ისიც, რომ ძმებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის საფუძველზე გამოძიება დაიწყო პროკურატურამაც. მას რამდენჯერმე დაუკავშირდა გამომძიებელი და ითხოვა გამოკითხვა, თუმცა ადვოკატს არ მიუცია ჩვენება დ----- ქ------ს წინააღმდეგ. ადვოკატი უარყოფს მომჩივანის პრეტენზიას, რომ წერილით თითქოს მან ირიბი მტკიცებულება შეუქმნა ვ-----ი ქ-------ს.

ადვოკატის განმარტებით, დ----- ქ-------მ და შპს „კ---------მა“ სრულიად უსაფუძვლოდ შეიტანეს ეჭვი მის კეთილსინდისიერებაში და 2022 წლის თებერვალში გაწყვიტეს მასთან ურთიერთობა. ურთიერთობის შეწყვეტის რეალური მიზეზი კი ერთ-ერთი საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ, მისთვის გადასახდელი ჰონორარი იყო, რომელიც კლიენტებს დღემდე არ გადაუხდიათ. ადვოკატის განმარტებით, მასსა და თ-ა ქ-------ს შორის არსებული მიმოწერისას მისი მხრიდან პოზიციის ხისტად დაფიქსირება სწორედ კლიენტების გაუფრთხილებელი და არაკეთილსინდისიერი ქმედებების შედეგია.

2023 წლის 1 ივნისს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ-----ი ქ------ას მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინური კოლეგიის 2023 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ საქმეზე უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წელს ადვოკატმა გ-----ი ქ------ამ საადვოკატო მომსახურეობის იდენტური ხელშეკრულებები გააფორმა ფიზიკურ პირ - დე---- ქ-------სთან, შპს „რ----------სთან“ და შპს „კო–---------თან“. თითოეული ხელშეკრულებით ადვოკატს ევალებოდა თბილისში, სა--------ს მო----ს მიწისქვეშა გადასასვლელის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავების მოგვარება და დამატებით კომპანიებისთვის იურიდიული მომსახურების გაწევა. ადვოკატის ყოველთვიური ჰონორარი განისაზღვრა 1000 ლარის ოდენობით, რომელსაც სამივე სუბიექტი თანაბრად ინაწილებდა. კერძოდ, დ----- ქ------- თავისი პირადი ანგარიშიდან იხდიდა 320 ლარს ყოველთვიურად, შპს „კო–---------ი“ ასევე იხდიდა 320 ლარს, ხოლო შპს „რ---------“, რომელიც არის ვ–----ი ქ-------ს საკუთრებაში, იხდიდა 360 ლარს.

დ----- ქ------- არის თბილისში, ს--------ს მ----ს მიწისქვეშა გადასასვლელში არსებული ფართის ნაწილის მესაკუთრე, სადაც განთავსებულია გარე ვაჭრობის ობიექტები. ტერიტორიის 20%-ს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს დე----- ქა-------ს ძმის - ვ–----ი ქ-------ს კომპანია - შპს „რ---------“, ხოლო 80%-ს მესამე ძმის - რ----ნ ქ-------ს კომპანია - შპს „კო–---------ი“.

2021 წელს დ----- ქ-------ა და შპს „რ---------“-ის მესაკუთრე ვ–----ი ა-------ს შორის თბილისში, სა--------ს მო-----ს მიწისქვეშა გადასასვლელის ნაწილზე, რომელიც დე----- ქა--------ს საკუთრებაშია, წარმოიშვა დავა. თავდაპირველად მხარეებმა სცადეს მორიგება და აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებდა ადვოკატი გ-----ი ქ------ა. კერძოდ, 2021 წლის 16 ნოემბრის უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიც შედგენილი იყო ადვოკატ გ-----ი ქ------ას მონაწილეობით, დ----- ქ------- იღებდა ვალდებულებას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ საქმეზე (მოსარჩელე - ჰ---ტ მ------ლი; მოპასუხე - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მესამე პირი - დ----- ქ-------) დავის დასრულების შემდეგ, ვ–----ი ქ-------ს უსასყიდლოდ გადასცემდა საკუთრებაში ს--------ს მოედანზე არსებული ქონების იმ ნაწილს, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული ვა–----ი ქ-------ს კომპანიას - შპს „რ--------“-ს. მას შემდეგ, რაც მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას, 2021 წლის 23 დეკემბერს ვ–----ი ქ-------მ სამოქალაქო სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას დ---- ქ-------ს საკუთრებაში არსებული ქონების 1/3 ნაწილზე მესაკუთრედ აღრიცხვის მოთხოვნით.

2022 წლის თებერვალში, დ----- ქ-------მ ცალმხრივად შეუწყვიტა საადვოკატო ხელშეკრულება ადვოკატ გი-----ი ქ------ას.

ადვოკატმა გ-----ი ქ------ამ 2023 წლის 28 თებერვალს ელექტრონული მეილის (gi----------a@gmail.com) მეშვეობით ქარდავების ოჯახს გაუგზავნა 2022 წლის 25 ივლისით დათარიღებული შემდეგი შინაარსის წერილი, სათაურით „მიმართვა ქარდავებს“: „...რ----ნ და დ----- ქ-------მ მითხრეს, რომ მათი მესამე ძმა ცხოვრობდა რუსეთში, ქალაქ მოსკოვში

და განმიმარტეს, რომ რკინიგზის სადგურზე არსებული ქონება იყო სამი ძმის 1999 წლიდან და მომიყვნენ მთელი ისტორია უძრავი ქონების შეძენის და განვითარებული დავების შესახებ... ძმებმა ქარდავებმა განმიმარტეს, რომ რადგანაც ორივე უძრავი ქონების წილი მდებარე რკინიგზის სადგურზე კოდით (ს/კ 01.16.01.005.005.01.502 და ს/კ 01.01.860) სამივე ძმაზე წილი ნაწილდებოდა თანაბრად, შესაბამისად თანაბრად მოხდებოდა მათ მიერ თანხის გადახდა თავიანთი წილის პროპორციულად. ძმებ ქარდავებს შორის ადვოკატისთვის თანხის გადახდა განისაზღვრა საკუთარი წილის 33.3-ის პროპორციულად... უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი რომ ბატონმა რ----ნ ქ-------მ არაერთხელ მანახა ის წერილობითი ჩანაწერები რომელიც ეხებოდა თანხების გადახდას ძმები ქარდავების მიერ 1999 წლიდან. თითოეული ამ ჩანაწერებში ძმები ქარდავები თანხებს იხდიდნენ საკუთარი წილის პროპორციულად... ასევე ჩემთვის სრულიად ცნობილია რომ დ----- ქ-------ს მიერ 2009 წლიდან შპს „რ---------“-სთან იდება იჯარის ხელშეკრულება ქ.თბილისში, ს--------ს მ-----ს მიწისქვეშა გასასვლელის ტერიტორიაზე, უძრავი ნივთიდან 20%-ზე. საიჯარო ქირა სიმბოლურად განსაზღვრული არის თვეში 1700 ლარი, რომელსაც შპს „რ---------“ ოფიციალურად უხდიდა დ----- ქ-------ს, ხოლო ბატონო დე-----ი იმავე 1700 ლარს უბრუნებდა ვ—----ი ქ-------ს...“. აღნიშნული წერილი ადვოკატმა გაუგზავნა: ვ—----ი ქ-------ს, რ----ნ ქ-------ს, თ-ა ქ-------ს და დ----ი ქ-------ს ოჯახს. ვ—----ი ქ-------მ 2023 წლის 2 მარტს განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს ნონა ზარქუას, რომ ადვოკატ გ-----ი ქ—------ ას მიერ 2023 წლის 28 თებერვალს, ქარდავების ოჯახისთვის გაგზავნილი წერილი მტკიცებულების სახით დართულიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე დ----- ქ-------ს წინააღმდეგ.

დ----- ქ-------ს პროცესუალურად დაპირისპირებულმა მხარემ - ვ—----ი ქ-------მ მის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეტანილ 2021 წლის 23 დეკემბრის სარჩელს და 2022 წლის 13 იანვარს მოსამართლე ნ---ა ზ---ას სახელზე შეტანილ დაზუსტებულ სარჩელს (მე-3 ფაქტობრივ გარემოებას) მტკიცებულების სახით დაურთო ადვოკატ გ-----ი ქ-----ას მიერ ხელმოწერილი, თბილისის მერიაში შეტანილი 2018 წლის პირველი ოქტომბრის წერილი - საინვესტიციო შეთავაზება, სადაც, ძირითად საინვესტიციო საკითხებთან ერთად, აღწერილია დ----- ქ-------ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (თბილისში, ვაგზლის მ----ს ტერიტორიაზე მიწისქვეშ არსებული 700კვ.მ შენობა-ნაგებობები), დ-----, რ----ნ და ვ—----ი ქარდავების მიერ საერთო სახსრებით შეძენის ფაქტი.

2018 წლის პირველ ოქტომბერს ადვოკატმა გ-----ი ქ—------ამ დ---- ქ-------ს სახელით შეიტანა განცხადება თბილისის მერიაში, რომელიც ვ—----ი ქ-------ს მიერ 2021 წლის 23 დეკემბრის სარჩელზე და 2022 წლის 13 იანვრის დაზუსტებულ სარჩელზე თანდართული წერილის იდენტურია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მერიაში წარდგენილ წერილში არ არის ნახსენები დ----- ქ------ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ძმების მიერ ერთობლივად შეძენის ფაქტი.

საქმეზე დადგენილი სადავო ფაქტები:

ადვოკატმა გ-----ი ქ-----ამ დ----ი ქ-------სგან დამოუკიდებლად შეადგინა თბილისის მერიაში მის მიერ 2018 წლის პირველ ოქტომბერს დ----- ქ-------ს სახელით შეტანილი

წერილის მსგავსი წერილი მისი კლიენტის დ----- ქ-------ს სახელზე, სადაც ადრესატად ასევე მითითებულია თბილისის მერია და აღწერილია დე----- ქა-------ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დ-----, რ----ნ და ვ–----ი ქარდავების მიერ ერთობლივად შეძენის ფაქტი.

ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა გ-----ი ქ–------ამ დაარღვია ნდობის, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ეთიკური ვალდებულებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები: 7.1, 8.1; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: 6.1, 6.2.ა, 6.5, 4.1, 3, 5), რადგან (1) ადვოკატმა, მოქმედ კლიენტებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის მიუხედავად, გააგრძელა მათი წარმომადგენლობა, (2) კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი წერილი გააგზავნა კონფლიქტში მყოფ კლიენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან და (3) მერიაში წარადგინა მის მიერ შედგენილი ისეთი სახის დოკუმენტი, რომელიც ერთმა კლიენტმა მეორე კლიენტის საზიანოდ, მტკიცებულების სახით გამოიყენა მათ შორის სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში.

ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

გადაწყვეტილების თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნა ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სიმძიმე, ასევე ადვოკატის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების მიმართ. კომისიის მითითებით, ადვოკატი ვერ აღიქვამდა დისციპლინური გადაცდომის სიმძიმეს, არაფერი უმოქმედია კლიენტისთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად, ადვოკატი ვერ აცნობიერებდა, რომ არღვევდა კანონს და პროფესიულ ვალდებულებებს, ის არცერთ ნაწილში არ ეთანხმებოდა პრეტენზიებს.

დისციპლინური სახდელის შეფარდებისას ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა ადვოკატის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, რომ იგი არ არის დისციპლინირებული და გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, რის გამოც ეთიკის კომისიის შეფასებით, არ არსებობს ადვოკატ გ----ი ქ–------ასთვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეწყვეტის საფუძველი, თუმცა გადაცდომათა განსაკუთრებული სიმძიმისა და სიმრავლის გათვალისწინებით, ეთიკის კომისიის შეფასებით, უფრო მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმები (გაფრთხილება და/ან კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული გადაცდომების პრევენციასა და დისციპლინირების სრულყოფილი მიზნის მიღწევას.

დისციპლინურ საქმეზე №021/23 დადგინდა ადვოკატ გ-----ი ქ------ას /სიითი №/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა და ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.

გადაწყვეტილებას თან ერთვის კომისიის წევრების ანა ლორიას, ანა ხურციძის და ნათია ჩიტაშვილის თანმხვედრი მოსაზრება და კონსტანტინე გელაშვილისა და ოთარ კაჭკაჭაშვილის განსხვავებული აზრი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 13 მარტის №021/23 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა - გ-----ი ქ------ამ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილება არის სრულიად დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, როგორც ფაქტობრივ, ასევე სამართლებრივ ნაწილში.

ადვოკატი მიუთითებს, რომ მისი მხრიდან ელ. ფოსტაზე საერთო წერილის გაგზავნის მიზეზი იყო დ----- ქ------სა და მისი ოჯახის მოთხოვნა, რომ ღიად და კონკრეტული ფაქტებით ესაუბრა იმ გარემოებებზე, რაც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ძმებს შორის. საჩივრის თანახმად, მათივე მოთხოვნა იყო, რომ აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატს გაეგზავნა ელექტრონული ფოსტით, რომელშიც სამივე ძმა იქნებოდა მითითებული.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ზემოაღნიშნული წერილის გაგზავნის მიზანი იყო ძმების შერიგება და მათ შორის მიმდინარე დავის დასრულება.

ადვოკატი გ-----ი ქ------ა მიუთითებს, რომ ყოველთვის მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მკაცრად იცავდა პროფესიული ეთიკის ნორმებს და დ----- ქ------ს საჩივარი უსაფუძვლოა, ვინაიდან ადვოკატს მისთვის ზიანი არ მიუყენებია.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ეთიკის კომისიის მიერ გარემოებების შეფასება განხორციელდა არასრულად, რამაც ადვოკატის მიმართ შეუსაბამო სახდელის დაკისრება გამოიწვია. სახდელის დაკისრებისას ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და შედეგი, ადვოკატის პიროვნება. გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული ადვოკატის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის ჩადენილ გადაცდომასთან პროპორციულობა.

სადისციპლინო პალატის სხდომაზე საქმის განხილვისას, ადვოკატმა განმარტა, რომ მისი მხრიდან გადაცდომას ადგილი არ ჰქონია და სახდელის დაკისრებისას შესაძლებელი იყო კერძო სარეკომენდაციო ბარათის გამოყენება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე მოითხოვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაუსაბუთებლობისა და

უსაფუძვლობის გამო.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ გ-----ი ქ------ას საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 13 მარტის №021/23 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

„ადვოკატთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის თანახმად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

ამავე კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „დ“ პუნქტების თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები; დაიცვას პროფესიული საიდუმლოება; ხოლო 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. მოცემული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ადვოკატმა ზუსტად და განუხრელად უნდა დაიცვას ეთიკის ნორმები, არ შელახოს პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები რაც უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის -6 (ექვსი) თვის ვადით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის მართლზომიერება. ამ მხრივ კი, შესაფასებელია ადვოკატ გ-----ი ქ------ას მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტის არსებობა, კერძოდ, დაირღვა თუ არა კონფიდენციალობის პრინციპი და ინტერესთა კონფლიქტის არსებობის პირობებში უწევდა თუ არა ადვოკატი იურიდიულ მომსახურეობას დაპირისპირებულ მხარეებს.

განსახილველ შემთხვევაში უდავოდ დადგენილია, რომ გ-----ი ქ------ა არის ადვოკატი, შესაბამისად, მას გააჩნია პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება.

ასევე დადგენილია, რომ 2018 წელს ადვოკატმა გ-----ი ქ------ამ საადვოკატო მომსახურეობის იდენტური ხელშეკრულებები გააფორმა ფიზიკურ პირ - დე----- ქა------- სთან, შპს „რ----------სთან“ და შპს „კო--------თან“. თითოეული ხელშეკრულებით ადვოკატს ევალებოდა თბილისში, ს--------ს მო-----ს მიწისქვეშა გადასასვლელის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული დავების მოგვარება და დამატებით კომპანიებისთვის იურიდიული მომსახურების გაწევა. ადვოკატის ყოველთვიურ ჰონორარს სამივე სუბიექტი თანაბრად ინაწილებდა.

2021 წელს დ----- ქ-------სა და შპს „რო---------“-ის მესაკუთრე ვ-----ი ქ-------ს შორის თბილისში, ს--------ს მ-----ს მიწისქვეშა გადასასვლელის ნაწილზე, რომელიც დ----- ქ------- ს საკუთრებაშია, წარმოიშვა დავა. თავდაპირველად მხარეებმა სცადეს მორიგება, აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებდა ადვოკატი გ-----ი ქ------ა, თუმცა მხარეთა მორიგება ვერ შედგა, რის შემდეგაც ადვოკატმა 2023 წლის 28 თებერვალს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ქარდავების ოჯახს გაუგზავნა 2022 წლის 25 ივლისით დათარიღებული ზემოხსენებული წერილი, სათაურით „მიმართვა ქ----ბს“, სადაც მან მიუთითა კლიენტებისაგან მიღებული ინფორმაცია იმგვარად, რომ აღნიშნული მოგვიანებით დამატებითი დავის საგანი და ერთგვარი მტკიცებულება გახდა უკვე დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტზე რომლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სადისციპლინო პალატა ეთანხმება ეთიკის კომისიის მსჯელობას, რომ ადვოკატი გ-----ი ქ------ა ვალდებული იყო მისი კლიენტების ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების წარმოშობისთანავე შეეწყვიტა

კლიენტებთან საადვოკატო საქმიანობა, რათა საფრთხე არ შექმნოდა რომელიმე კლიენტის მიმართ არსებულ პროფესიულ ვალდებულებას. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, პალატა აღნიშნავს, რომ ინტერესთა კონფლიქტი ყოველთვის სახეზეა, როდესაც ადვოკატი არ არის თავისუფალი მესამე მხარის ჩარევისაგან, ადვოკატსა და კლიენტის ინტერესებს შორის არსებობს კონფლიქტი ან ერთი ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის არის კონფლიქტი. (მოლიტერნო და სხვები „იურიდიულ პროფესიათა ეთიკის საკითხები“ გვ. 58)

სადისციპლინო პალატის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მითითებულ საქმესთან დაკავშირებით არც ერთ სასამართლო პროცესზე, არც ერთ ინსტანციაში არ მიუღია მონაწილეობა დ----- ქ-------ს წინააღმდეგ, რაც მისივე განმარტებით გამორიცხავს მისი მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის პირობებში მხარეთა მომსახურების ფაქტს, თუმცა, ამასთანავე, ადვოკატმა განმარტა, რომ ვ—----ი ქ-------სთან დღესაც აქვს საქმიანი ურთიერთობა, მას აქვს რესტორნების და სასტუმროების ბიზნესი და პერიოდულად ჭირდება გარკვეული ხელშეკრულებების გაფორმება, რაშიც ეხმარება, თუმცა, ვინაიდან აღნიშნული საკითხი უშუალოდ ძმებს შორის არსებულ დავის საგანს არ შეეხებოდა, ინტერესთა კონფლიქტი არ იყო სახეზე და ადვოკატის განმარტებით, გაურკვეველია რა სახის ზიანი მიაყენა მან დ----- ქ-------ს.

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის ზემოაღნიშნული განმარტებები ურთიერთსაწინააღმდეგოა, ვინაიდან საადვოკატო მომსახურეობა თავისი შინაარსით არ მოიაზრებს მხოლოდ პირის ინტერესების შესაბამისად სასამართლო პროცესზე ადვოკატის მონაწილეობას. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

დადგენილია, რომ 2018 წელს ადვოკატმა გ-----ი ქ—------ამ საადვოკატო მომსახურეობის იდენტური ხელშეკრულებები გააფორმა ფიზიკურ პირ - დ---- ქ-------სთან, შპს „რ----------სთან“ და შპს „კ—--------თან“.

ასევე დადგენილია, რომ, 2021 წელს დე----- ქ-------ა და ვ—----ი ქა------ს შორის დ----- ქა-------ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე წარმოიშვა დავა.

აღნიშნულის შემდგომ დ----- ქ-------მ და შპს „კო—--------მა“ 2022 წლის თებერვალში ცალმხრივად შეწყვიტეს ადვოკატ გ----ი ქ—------ასთან თანამშრომლობა მის ქმედებებში ეჭვის შეტანის გამო, ხოლო ადვოკატმა, მისივე განმარტებიდან გამომდინარე, განაგრძო

მისი უკვე ყოფილი კლიენტების დაპირისპირებულ მხარესთან თანამშრომლობა და მისთვის საადვოკატო მომსახურეობის გაწევა, რითაც საფრთხე შეუქმნა „ადვოკატთა შესახებ“ კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პროფესიულ ვალდებულებებს.

სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებულ მსჯელობას, რომ ადვოკატს უფლება არ აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი, არათუ იმ შემთხვევაში თუ კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, არამედ იმ შემთხვევაშიც თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.

რაც შეეხება ადვოკატ გ-----ი ქ------ას მიერ კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევის ფაქტს, სადისციპლინო პალატა მიუთითებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ ადვოკატისათვის ცნობილი იყო მის ყოფილ კლიენტებს - ძმებ ქარდავებს შორის მიმდინარე კონფლიქტსა და სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ადვოკატმა გ-----ი ქ------ამ მის მიერ შედგენილ წერილში, **მიუთითა კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა კლიენტების საქმიანობას და რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საადვოკატო მომსახურების განხორციელების პროცესში.** მითითებული წერილი, როგორც მტკიცებულება ერთ-ერთმა მხარემ (კლიენტმა) გამოიყენა მეორის წინააღმდეგ მტკიცებულების სახით, მათ შორის მიმდინარე სამოქალაქო დავაში. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გადაწყვეტილებაში მითითებულ შეფასებას, რომ ადვოკატს პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს თუნდაც ის გარემოება, რომ მან მოუწოდა ინფორმაციის მიმღებ პირებს, რომ არ გამოეყენებინათ კონფიდენციალური ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ-----ი ქ------ას მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდებისა და კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. პალატა აღნიშნავს, რომ აღნიშნული ვალდებულებები ადვოკატს გააჩნია არა მხოლოდ მიმდინარე საქმის

წარმოებისას, არამედ ყოფილი კლიენტის მიმართაც, შესაბამისად, იგი ვალდებულია დაიცვას ყოფილი კლიენტის ინტერესები და მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა ახალ საქმიან ურთიერთობებშიც.

კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს. ადვოკატის დამოუკიდებლობის დაკარგვა და/ან ინტერესთა კონფლიქტი მჭიდრო კავშირშია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის ეთიკურ ვალდებულებასთან, რადგან ასეთ დროს კლიენტის ინტერესის ხარჯზე ხდება ადვოკატის, ადვოკატის სხვა კლიენტის ან ადვოკატთან დაკავშირებული სხვა პირის ინტერესების გათვალისწინება. აღნიშნული კი მნიშვნელოვნად აზიანებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობას, რადგან კლიენტისადმი ერთგულებისა და ლოიალობის ვალდებულება საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი ღერძია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეფექტიანი დაცვის უფლების უზრუნველყოფა. (იურიდიული ეთიკა, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2021, რედ. ანა ლორია)

სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად, დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ადვოკატ გ-----ი ქ-----ას ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მართებულადვე დაეკისრა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სახდელიც. შესაბამისად, არ არსებობს საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის“ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{61} მუხლით, 75^{62} მუხლით, 75^{63} მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75^{64} მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ გ--- ქ------ას საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 13 მარტის №021/23 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **თეა ძიმისტარაშვილი**

მოსამართლეები: მირანდა ერემაძე

გოჩა აბუსერიძე